პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 130 (3107) 7 1966 წ. ივლისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

◆ მოსკოვი, 6 ივლისი. [illegible] ზე ცურვაში [illegible] შირო რეკორდი დაამყარა ადგილობრივმა სპორტსმენმა ნ. მიხაილოვამ. სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში მან 200 მეტრი 2 წუთსა და 31,7 წამში გაცურა. ოქროს მედალი განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჩემპიონისთვის — მან ხომ თავისივე რეკორდი 0,3 წამით გააუმჯობესა.

## [illegible]

ლ ო ნ დ ო ნ ი, 6 ივლისი. „უემბლის" სტადიონზე, სადაც მომავალ ორშაბათს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატი, ხოლო ივლისის უკანასკნელ შაბათს გაირკვევა ოქროს ქალღმერთის მფლობელი, დღეს ფლაგშტოკები გასინჯეს. ფინალური ტურნირის მონაწილე 16 ქვეყნის ალმების აღმართვის რეპეტიციამ დაუბრკოლებლად ჩაიარა.

საყოველთაო ყურადღების ცენტრშია „უემბლის" სტადიონის მწვანე მინდორი. სპეციალისტებმა მოედანი წლეულს უკვე სამჯერ გულდასმით შეაკეთეს და ახლა იგი, გაზონის ყველაზე მომთხოვნ სპეციალისტთა აზრით, უნაკლოა. ამაში პირველნი დარწმუნდებიან საფრანგეთის, მექსიკისა და ურუგვაის ფეხბურთელები, რომლებმაც „აკლიმატიზაციისათვის" შაბათს 20-წუთიანი წვრთნის ნებართვა მიიღეს. თვითონ ინგლისელები, რომლებსაც თამაში ასევე „უემბლიზე" მოუწევთ, ასეთ წვრთნას არ საჭიროებენ — ეს მინდორი მათთვის კარგადაა ცნობილი.

შვეციის ქალაქ მალმედან თვითმფრინავმა მანჩესტერს ჩაიყვანა ოქროს ქალღმერთის ახლანდელი მფლობელნი — ბრაზილიელები. მსოფლიო ჩემპიონებმა რამდენიმე წუთს დაჰყვეს ქალაქის ხმაურიან ქუჩებში და მაშინვე პატარა სოფელ ლიმს მიაშურეს, სადაც ამ სოფლის ყველაზე დიდ შენობაში — „ლიმ-ოტელში" იცხოვრებენ.

ინგლისში ჩამოვიდნენ პორტუგალიელებიც, რომლებმაც თან ჩაიტანეს ...

# „ნისლიანი ალბიონის" სტუმრები

600 ბოთლი ღვინო. ურუგვაელებს კი საკუთარი მზარეული — გუნდის საყვარელი მეგობარი ჩამოჰყვათ. „საეჭვოდ არ მიგვაჩნია ინგლისელ კულინართა ოსტატობა, — განმარტეს ურუგვაელებმა, — მაგრამ ჩვენი მზარეული ისეთ საჭმელებს ამზადებს, რომ მოთამაშეებს საუკეთესო გუნებაზე აყენებს".

ჩემპიონატზე გაფრენის წინ ჟურნალისტებს უკანასკნელი ინტერვიუ მისცა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ჰ. შეონმა. „ჩემი გუნდი მზად არის ასპარეზობისთვის, — განაცხადა მან. — მე ყოველდღე ვკითხულობ გაზეთებს, ამიტომაც პროგნოზებისგან თავს ვიკავებ. ჟურნალისტებმა ყველაფერი უკეთ იციან, ამიტომ ჩემპიონსაც ადვილად ასახელებენ. ოღონდ გაუგებარია, რაღად მიემგზავრებიან ინგლისში სხვა გუნდები?" — იხუმრა მან.

უნგრეთის ნაკრების ხელმძღვანელს ლ. ბაროტის კი სულაც არ ეხუმრება. ბენე ინგლისში ვერ ითამაშებს, ტრავმირებულია ალბერტიც, თუმცა ექიმები იმედოვნებენ, რომ იგი თამაშს შეძლებს. „ორი წელი ვემზადებოდი ამ პიესის დასადგმელად, — შეჩივლა ჟურნალისტებს ინგლისში ჩასვლისას ბაროტიმ, — და აი, პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე საუკეთესო მსახიობები მტოვებენ".

6 ივლისს ინგლისის მიწაზე დადგეს ფეხი საბჭოთა ფეხბურთელებმაც. „როგორც ყოველი გუნდის, ისე ჩვენს წინაშეც, ძირითადად ტაქტიკური პრობლემები დგას, — განაცხადა საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა. — უკვე 12 ივლისს, პირველსავე მატჩში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან, ჩვენ სერიოზული გამოცდა გველის. კორეელები ხომ მტკიცე დისციპლინით, ენერგიითა და საბრძოლო სულით გამოირჩევიან".

ლონდონიდან ჩვენი ნაკრები თვითმფრინავით პირდაპირ ჩრდილოეთში გაფრინდა.

იმავე დღეს, სკანდინავიასა და პოლონეთში მატჩების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდნენ ინგლისელი ფეხბურთელები.

„ინგლისელი ფეხბურთელები ოთხმა მატჩმა ალმასივით გამოაწრთო და ისინი ყველაფრისათვის მზად არიან", — წერს გაზეთი „ივნინგ სტანდარტი".




## „მუშკეტერებმა" ბრძოლა დაიწყეს

„შეიარაღებული" სპორტსმენები ამჟამად ყველაზე პოპულარული ადამიანები არიან ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. ისინი მოსკოვში პირველად მოწყობილ მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებენ სამ სახეობაში — რაპირით, დაშნითა და ესპადრონით ფარიკაობაში. აქ შეიკრიბა სახელგანთქმულ „მუშკეტერთა" მთელი თანავარსკვლავედი, რომელთა შორისაა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების 16 ჩემპიონი.

მოსკოვს პირველი ესტუმრა 34 წლის დიდბრიტანელი ფერმერი უ. ჰოსკინსი, დაშნით ფარიკაობაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი. მან განაცხადა, რომ ბევრი საბჭოთა მოფარიკავე მისი კარგი ნაცნობია, ხშირად შეხვედრია მათ სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ყოველი სტუმარი ცდილობს, რაც შეიძლება მალე შეეგუოს მოსკოვის ვითარებას, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც პირველად გამოდიან ამ საპასუხისმგებლო ჩემპიონატში. მაგალითად, ირანელი სპორტსმენები სულ ვარჯიშზე იყვნენ გადასული და დროც არ ჰქონდათ, რომ ცნობისმოყვარე კორესპონდენტებისთვის ინტერვიუ მიეცათ.

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანგმა პ. ფერიმ კმაყოფილება გამოთქვა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის ჩინებულად მომზადების თაობაზე. მართლაც, ტურნირის გახსნისთვის ყველაფერი მზადაა, — მოსკოვმა გულუხვი მასპინძლობა გაუწია 32 ქვეყნის წარმომადგენელთ.

ზნამენსკების წლევანდელ მემორიალში კარგად გამოვიდა თბილისის დინამოელი, საქართველოს რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში კ. გორძემაშვილი. მან IV ადგილი დაიკავა (76,60 მ) და მხოლოდ 8 სანტიმეტრით წააგო III პრიზიორთან — მ. პაამასთან.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: წამიც, და კ. გორძემაშვილის შუბი ჰაერში გაიქროლებს.

ფოტო ო. გელაშვილისა.






ბუქარესტში გაიმართა დინამოელ სპორტსმენთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება („დინამიადა"). სპორტულ ტანვარჯიშში პირად-გუნდურ პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ სსრ კავშირის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

ვაჟებში დიდი წარმატება მოიპოვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა მ. ბოგუსმა, რომელმაც ოქროს 3 და ვერცხლის 2 მედალი დაისაკუთრა. მან მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის წოდება, უვლას აჯობა ორძელზე და ღერძზე ვარჯიშში და II ადგილები დაიკავა რგოლებსა და ტაიჭზე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ბოგუსი ამიერკავკასიის მოსწავლეთა ზონალური სპარტაკიადის მსჯობის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

„კლასი „ბ" II ჯგუფი

მდგომარეობა 7 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 15 | 9 | 3 | 3 | 25—14 | 21 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 15 | 7 | 6 | 2 | 20—6 | 20 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 15 | 6 | 6 | 3 | 21—15 | 18 |
| „დაუგავა" (რიგა) | 15 | 6 | 5 | 4 | 22—13 | 17 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 15 | 5 | 7 | 3 | 20—15 | 17 |
| „დინამო" (ციოლკოვსკი) | 15 | 5 | 7 | 3 | 15—10 | 17 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 14 | 7 | 3 | 4 | 14—11 | 17 |
| „თერგი" (გროზნო) | 15 | 5 | 7 | 3 | 12—13 | 17 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 15 | 6 | 4 | 5 | 17—19 | 16 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 16 | 5 | 5 | 6 | 9—12 | 15 |
| „დინამო" (ბათუმი) | 15 | 5 | 3 | 7 | 16—20 | 13 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 15 | 4 | 4 | 7 | 10—16 | 12 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 15 | 3 | 6 | 6 | 8—14 | 12 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 14 | 3 | 6 | 5 | 7—13 | 12 |
| „დინამო" (ტალინი) | 15 | 3 | 5 | 7 | 12—15 | 11 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 15 | 2 | 7 | 6 | 10—20 | 11 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 15 | 1 | 6 | 8 | 10—22 | 8 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა „რუბინისა" და „ბალტიკის" შეხვედრა.

### გათამაშების ცხრილები

საქართველოს პირველობა

მდგომარეობა 4 ივლისისათვის

#### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე" (თბილისი) | 16 | 11 | 4 | 1 | 36—10 | 26 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 16 | 11 | 3 | 2 | 30—11 | 25 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 15 | 7 | 7 | 1 | 21—8 | 21 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 15 | 9 | 3 | 3 | 14—11 | 21 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 16 | 8 | 3 | 5 | 28—18 | 19 |
| „ქართლი" (გორი) | 16 | 6 | 4 | 6 | 18—19 | 16 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 15 | 5 | 4 | 6 | 13—16 | 14 |
| „ისანი" (თბილისი) | 15 | 4 | 5 | 6 | 11—13 | 13 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 16 | 3 | 6 | 7 | 9—15 | 12 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 16 | 4 | 3 | 9 | 19—34 | 11 |
| „ტორპედო" (გაგრა) | 15 | 2 | 2 | 11 | 16—26 | 6 |
| „დინამო" I (თბილისი) | 15 | 1 | 0 | 14 | 15—40 | 2 |

II ზონა

| | თ | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 16 | 8 | 6 | 2 | 25—9 | 22 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 16 | 8 | 5 | 3 | 19—13 | 21 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 15 | 7 | 6 | 2 | 24—14 | 20 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 16 | 7 | 4 | 5 | 23—20 | 18 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 15 | 6 | 5 | 4 | 25—17 | 17 |
| ასკ (თბილისი) | 16 | 5 | 7 | 4 | 20—18 | 17 |
| „ფუქურა" (ქობულეთი) | 15 | 5 | 7 | 3 | 14—14 | 17 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 16 | 5 | 7 | 4 | 19—20 | 17 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 16 | 3 | 10 | 3 | 14—13 | 16 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 16 | 5 | 3 | 8 | 18—19 | 13 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 16 | 2 | 5 | 9 | 17—30 | 9 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 15 | 0 | 1 | 14 | 8—44 | 1 |

#### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 10 | 8 | 1 | 1 | 19—7 | 17 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 11 | 6 | 2 | 3 | 27—12 | 14 |
| „ალაზანმშენი" (თელავი) | 9 | 6 | 1 | 2 | 15—11 | 13 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 10 | 4 | 4 | 2 | 20—12 | 12 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 9 | 4 | 3 | 2 | 16—16 | 11 |
| „სამცხე" (აწყური) | 10 | 2 | 5 | 3 | 10—16 | 9 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 9 | 2 | 4 | 3 | 9—12 | 8 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 10 | 2 | 4 | 4 | 13—18 | 8 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 9 | 2 | 4 | 3 | 5—10 | 8 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 9 | 1 | 5 | 3 | 9—11 | 7 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 10 | 2 | 3 | 5 | 9—11 | 7 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 10 | 0 | 2 | 8 | 9—22 | 2 |

II ზონა

| | თ | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლაითური" (მახარაძე) | 11 | 7 | 3 | 1 | 13—4 | 17 |
| „აერო" (გალი) | 11 | 6 | 4 | 1 | 23—7 | 16 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 11 | 6 | 2 | 3 | 17—10 | 14 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 11 | 5 | 3 | 3 | 14—10 | 13 |
| „სულორი" (ვანი) | 11 | 4 | 5 | 2 | 13—9 | 13 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 11 | 4 | 4 | 3 | 25—12 | 12 |
| „ცისარტყელა" (თბილისი) | 11 | 6 | 0 | 5 | 11—15 | 12 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 10 | 4 | 3 | 3 | 7—12 | 11 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 11 | 3 | 3 | 5 | 15—15 | 9 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 12 | 3 | 2 | 7 | 11—23 | 8 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 10 | 2 | 3 | 5 | 9—19 | 7 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 11 | 3 | 0 | 8 | 13—29 | 6 |
| „ცისკარა" (ბათუმი) | 11 | 1 | 2 | 8 | 3—6 | 4 |

ფეხბურთი

ჭიდაობა ჭიდაობა

# ჩემპიონები


ი. კლდიაშვილი


ჩ. ქუცნიაშვილი


ბ. მარიდაშვილი


თ. არაბული


ხ. წიკლაური


გ. ნონიკაშვილი


გ. კახაბრიშვილი


კ. ტატულაშვილი

ჰიათურაში მწვავე ბრძოლებით აღინიშნა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სამბოში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, გარდაბნის, კასპისა და გორის ნაკრებმა კოლექტივებმა. ამათ გარდა, პირად ჩათვლაში გამოდიოდნენ ქუთაისის, ქარელის, სოხუმისა და წითელწყაროს წარმომადგენლები. სულ პირველობისთვის 107 ათლეტი იბრძოდა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. გარდაბანი, 3. გორი, 4. კასპი.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ი. კლდიაშვილი (გორი), ჩ. ქუცნიაშვილი, ბ. მარიდაშვილი, თ. არაბული, ხ. წიკლაური (ყველანი — თბილისი), გ. ნონიკაშვილი (კასპი), გ. კახაბრიშვილი (გარდაბანი), კ. ტატულაშვილი (კასპი).

## 1 ქულით

კასპში დამთავრდა საქართველოს ჭაბუკ სამბისტთა პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, საგარეჯოს, კასპისა და გარდაბნის გუნდები. ამათ გარდა, პირადი პირველობისთვის იბრძოდნენ მცხეთისა და წითელწყაროს ათლეტები. სამწუხაროდ, მონაწილენი ვერ მოავლინეს სოხუმმა, ბათუმმა, ქუთაისმა, ცხინვალმა, თელავმა და სხვა ქალაქებმა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს თბილისელმა სამბისტებმა. აღსანიშნავია, რომ II ადგილზე გასული კასპის ნაკრები გამარჯვებულს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩა. III ადგილი წილად ხვდა გარდაბნის რაიონის კოლექტივს.

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაისაკუთრეს: ვ. ხოსიტაშვილმა (გარდაბანი), ჯ. ჯანანაშვილმა, ჯ. ხორბალაძემ, გ. თვაურმა (ყველანი — კასპი), ო. ქუცნიაშვილმა (გარდაბანი), ს. ბადალიანმა, ე. ნინიაშვილმა (ორივენი — თბილისი), ვ. თაბუაშვილმა (კასპი), ლ. თედიაშვილმა (საგარეჯო), ნ. ზაზუნიშვილმა (გარდაბანი).

დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც სათანადო წვრთნის შემდეგ გაემგზავრება ლენინგრადში, სადაც მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ჭაბუკ სამბისტთა პირველობაში.

ა. ნინიაშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## ლენტეხელთა წარმატება

ამას წინათ გორში გაიმართა საქართველოს ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 რაიონის 110 ნორჩი ათლეტი.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ლენტეხი, 2. ახმეტა, 3. გარდაბანი.

აღსანიშნავია ლენტეხის მოჭიდავეთა წარმატება (მწვრთნელი ა. ონიანი), რომლებმაც პირველად მოიპოვეს გამარჯვება ასეთი დიდი მასშტაბის ტურნირში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. ხოსიტაშვილი, ა. თეთრაშვილი (ორივენი — გარდაბანი), შ. გუტაშვილი (ახმეტა), ვ. ანდრიაშვილი (წითელწყარო), ვ. კუბლაშვილი (ახმეტა), გ. გაგუნაშვილი (თბილისი), ლ. თედიაშვილი (საგარეჯო), ბ. გოგნაძე (თბილისი).

შ. ზუკაკიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## დასაწყისი კარგია

### ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის ათლეტთა ტურნირი

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში ჩასათვლელ ქულებს, მოზრდილებთან ერთად, ჭაბუკთა კოლექტივებიც იძლევიან. ალბათ, ეს გარემოება ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ნორჩ ათლეტთა კიდევ ერთ საინტერესო ტურნირს — ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სპორტსმენთა შეჯიბრებას თავისუფალსა და კლასიკურ ჭიდაობაში.

ამ დღეებში „ახალშობილი" ტურნირების მონაწილენი სომხეთის დედაქალაქში შეიკრიბნენ. პირდაპირ უნდა ვთქვათ: შეჯიბრებამ დანიშნულება გაამართლა, ვინაიდან მან გამოამზეურა ნორჩ მოჭიდავეთა მომზადების როგორც ნათელი, ისე ჩრდილოვანი მხარეები.

ჯერ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შესახებ. საქართველოს გუნდის უპირატესობა აქ იმდენად აშკარა იყო, რომ უკვე ტურნირის „ეკვატორიდან" მისი წარმატება ეჭვს არ იწვევდა. II პრიზიორს—სომხეთის გუნდს ჩვენებმა 5 ქულით გაუსწრეს. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ აზერბაიჯანელ და მოლდაველ ათლეტებს.

აი, ვინ გახდნენ ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით: გაჯიევი, შირინოვი (ორივენი — აზერბაიჯანი), ზუკაკიშვილი (საქართველო), იშხანიანი, გასპარიანი (ორივენი — სომხეთი), მარსაგიშვილი, ქელდიშვილი, შიოშვილი (ყველანი — საქართველო), ზურიკიანი (სომხეთი), სიხარულიძე (საქართველო).

როგორც ხედავთ, 10 წონიდან ხუთში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. სწორედ ამ მაღალმა შედეგმა განაპირობა საქართველოს გუნდის საერთო გამარჯვება. თავიანთ წონით კატეგორიებში II ადგილები დაისაკუთრეს: კვაჭაძემ, ჭკადუამ და ჩიხლაძემ. ჯორბენაძე III ადგილზე გავიდა, ხოლო მუჯრიშვილი — IV.

ტურნირმა ცხადყო, რომ საქართველოს ჭაბუკი მოჭიდავეები (მწვრთნელები—სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ს. ბახტაძე და გ. ბასიაშვილი) ტურნირისთვის კარგად იყვნენ მომზადებული. მათ საკავშირო სარბიელზეც წარმატების დიდი შანსები აქვთ.

ჩემპიონებმა როგორც სპეციალისტთა, ისე მაყურებელთა საერთო სიმპათია დაიმსახურეს, მაგრამ მათ შორისაც იყვნენ ისეთები, რომლებსაც განსაკუთრებული ქება და მაღალი შეფასება ხვდათ წილად. ესენი არიან ზუკაკიშვილი, მარსაგიშვილი და ქელდიშვილი.

წარუმატებელი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დებიუტი ამ ტურნირში. საქართველოს გუნდმა მხოლოდ III ადგილი დაიკავა (მას გაუსწრეს აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლექტივებმა). ორმა მოჭიდავემ — თბილისელმა თ. ფილიშვილმა და ქუთაისელმა ე. გოგლიჩიძემ I ადგილები დაიმსახურეს.


სურათზე: საქართველოს ჭაბუკთა გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ს. ჯორბენაძე, ვ. ზუკაკიშვილი, ვ. ჭკადუა, ბ. მუჯრიშვილი, ბ. კვაჭაძე; (დგანან) — გუნდის მწვრთნელი გ. როსტიაშვილი, რ. მარსაგიშვილი, მ. შიოშვილი, ი. სიხარულიძე, ზ. ჩიხლაძე, ა. ქელდიშვილი.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

# იმედისმომცემი შედეგი

„ლელოს" ინფორმაცია

ახლახან ერევანში გაიმართა ამიერკავკასიის მოსწავლე - მოფარიკავეთა შეჯიბრება მეგობრული თამაშების პროგრამით. ამ ტურნირში მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა. „ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს ნორჩ მოფარიკავეთა ნაკრების მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელ ვ. ქოჩიაშვილს და სთხოვა ემბნა ჩვენი მოფარიკავეების გამოსვლის შესახებ.

— რაპირისტმა გოგონებმა და ჭაბუკებმა გუნდური I ადგილები მოიპოვეს, — თქვა ვ. ქოჩიაშვილმა. — ასევე ყველა ჩამოიტოვეს დაშნით მოფარიკავეებმაც, ხოლო ესპადრონისტებმა II ადგილი დაიკავეს. საბოლოოდ, საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ჩვენს ნორჩ მოფარიკავეებს ხვდათ, სომხეთის გუნდი მეორე იყო, ხოლო აზერბაიჯანისა — მესამე.

საქართველოს მოფარიკავეებმა წარმატებით იასპარეზეს პირად ჩათვლაშიც. რაპირისტ ჭაბუკებში ყველას აჯობა ა. ეფციაურმა, გოგონებში პირველი იყო დ. ჩიქოვანი, ხოლო მეორე — დ. ბუხრაშვილი.

დაშნით მოფარიკავეებში ტოლი არ ჰყავდა დ. ხიდეშელს. II ადგილზეა ვ. ლაზარაშვილი. ესპადრონისტთა ასპარეზობაში II პრიზიორი გახდა ს. ცქიტიშვილი, ხოლო III — დ. ლორთქიფანიძე.

საქართველოს ნორჩ მოფარიკავეთა წარმატება გვინერგავს რწმენას, რომ ისინი საკავშირო სარბიელზეც კარგ შედეგებს გვიჩვენებენ.

## ნორჩები შინაარსიანად ატარებენ დროს

### მხიარული სპორტული ზაფხული

საინტერესოდ, ხალისიანად ატარებენ არდადეგებს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში ამ ზაფხულს ქალაქად დარჩენილი ბავშვები. აქ მათ ყოველგვარი პირობა შეუქმნეს გონივრული დასვენება-გართობისთვის. მოსწავლეთა განკარგულებაშია ადგილობრივი რადიოკვანძი „ციცინათელა", სპორტული ინვენტარი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები. პიონერებისთვის ხშირად ეწყობა ლექცია-საუბრები, ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, ექსკურსიები. ჩამოყალიბდა ნორჩ ფეხბურთელთა, მოშაშეთა, მოჭადრაკეთა და მაგიდის ჩოგბურთელთა წრეები.

პარკის დირექციამ უკვე ჩაატარა მოსწავლეთა საზაფხულო პირველობები შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში.

შაშში 15 მოსწავლე-გოგონა ასპარეზობდა. 12,5 ქულა დააგროვა და I ადგილი დაისაკუთრა მანანა მაღლაფერიძემ. მისი და—მაია—გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და II ადგილზე გავიდა.

17 მოშაშე ჭაბუკის შეჯიბრებაში 14,5 ქულით გაიმარჯვა თ. სალუქვაძემ. 13-13 ქულა დააგროვეს და II-III ადგილები გაინაწილეს ვ. სამანიშვილმა და ს. კოლუაშვილმა.

საინტერესოდ წარიმართა ჭაბუკთა ასპარეზობა მაგიდის ჩოგბურთში. ერთმანეთს ეჯიბრებოდა 18 მოსწავლე. შეხვედრები დაუმარცხებლად ჩაატარა რ. ხურციძემ.

ნორჩი ფეხბურთელები ესტუმრნენ თავიანთ ძველ მეგობრებსა და მეტოქეებს — ბროწეულას სკოლა-ინტერნატის სპორტსმენებს და მატჩიც გამართეს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2.

ი. კოკუაშვილი.

ქუთაისი.

### ბანაკმა ალამი აღმართა

წითელყელსახვევიანმა გოგონებმა და ბიჭებმა პიონერული ალამი აღმართეს ბაკურიანის პლატოზე. გაისმა დაფდაფების ხმა, — გაიხსნა ზესტაფონის კომკავშირის რაიონული პიონერთა ბანაკი (ბანაკის უფროსი ფ. მოდებაძე).

პირველი დღეები, როგორც ყოველთვის, ახლაც ბანაკის წევრთა გაცნობა-დამეგობრებას დასჭირდა. აქ 150-მდე მოსწავლემ მოიყარა თავი. IV რაზმი ოქტომბრელებისთვისაა. პიონერხელმძღვანელები ლ. ჭეჭინაძე და ნ. ხიხაძე არიან. ისინი ნორჩებს უნერგავენ შრომის ჩვევებს, ურთიერთპატივისცემას და სიყვარულს, ფიზიკურად აწრთობენ.

ბანაკის ფიზაღზრდის მასწავლებლები გ. ულენტი და ო. აბაშიძე პიონერებს ავარჯიშებენ მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში... ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობა და შეჯიბრებები მეზობელი ბანაკების პიონერებთან.

შინაარსიანად ატარებენ დროს ზესტაფონელი პიონერები ბაკურიანში.

ა. ბანუზრავა.
(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები

● ბალსტადი, 5 ივლისი. აქ დაიწყო შვეციის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ. ს. ლიხაჩოვმა მოუგო შვეციელ უ. ბენგტსონს — 8:6, 6:3, 4:6, 6:2, ხოლო ა. მეტრეველთან წყვილში — მასპინძელთა დუეტს (ს. დავიდსონსა და ტ. იუჰანსონს) — 6:2, 6:3.

● ლონდონი 5 ივლისი. ერთი თვის წინათ, პარიზში, 18 წლის ვლადიმერ კოროტკოვმა (მოსკოვი) საფრანგეთის ღია ჩემპიონატში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა იუნიორ ჩოგბურთელთა შორის. თავისი ძლიერება ამ ჭაბუკმა აქაც დაამტკიცა: უიმბლდონის ტურნირში იუნიორთა ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა. აღსანიშნავია, რომ ვ. კოროტკოვმა შარშანაც გაიმარჯვა ამ შეჯიბრებაში.

● ოდესა, 5 ივლისი. სსრ კავშირში სტუმრად იმყოფება ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები. პირველ მატჩში სტუმრები უკრაინის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 3:1.

● პარიზი, 5 ივლისი. „ტურ დე ლ'ავენირის“ ველორბოლის IV ეტაპი (144 კმ) მოიგო იტალიელმა ბენფატომ. გამარჯვებულს 7 წამით ჩამორჩა მინსკელი ურბანოვიჩი (VII ადგილი). 4 ეტაპის ჯამში გუნდურ I ადგილს ჰოლანდიელები ფლობენ, II — იტალიელები, III — ფრანგები. საბჭოთა ველოსიპედისტები ჰოლანდიელებთან 4 წუთით აგებენ და IV ადგილზე არიან.

● რიგა, 5 ივლისი. ქარხანა ვეფ-ის სპორტკლუბმა და კომკავშირის კომიტეტმა მოაწყეს რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ლატვიის უდიდესი საწარმოს გუნდთან ერთად პრაღის ავტოქარხნისა და ბერლინის გარეუბნის

## ახალი ამბები

კენიგსდორფის „შტალის“ სპორტსმენები ასპარეზობდნენ. [illegible] მოუგეს ბერლინელებს — 22:9 და რიგელებს — 18:8. ვეფ-ის თასმა პრაღისკენ ალო გეზი. აღსანიშნავია, რომ პრაღის სპორტული საზოგადოებრიობა წლეულს ჩეხოსლოვაკიაში რეგბის არსებობის 40 წლისთავს იზეიმებს. ბერლინელმა სპორტსმენებმა მოუგეს მასპინძლებს (16:9) და II ადგილი დაისაკუთრეს.

● ლა-კორუნია (ესპანეთი), 5 ივლისი. იტალიელმა თარჯრბენელმა ე. ოტოზმა 13 ქვეყნის არმიელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში გაიმეორა თავისივე წლევანდელი საუკეთესო შედეგი მსოფლიოში 110 მეტრზე — 13,6. ესპანელ სალგადოს კარგი შედეგი ჰქონდა 3 კმ-ზე დაბრკოლებებით რბენაში — 8.34,4. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, ტუნისელმა მ. გამუდიმ მოიგო 5 კილომეტრზე რბენა — 13.56,4.

● კოტბუსი, 5 ივლისი. **სიმაღლეზე ხტომაში გდრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა ვ. კფაილმა — 214 სმ. წინანდელი რეკორდი 1 სმ-ით ნაკლები იყო.**



ი. დიაჩკოვი ჭოკით ხტომის დროს.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# ა. შჩერბინას „ბრინჯაო“

თუ ზნამენსკების მემორიალის ტექნიკურ შედეგებს გადავხედავთ, უმალვე ცხადი გახდება, რომ სპორტსმენებმა ამ ასპარეზობაში მაინცდამაინც ბრწყინვალე შედეგები ვერ გვიჩვენეს: გაუმჯობესდა სსრ კავშირისა და მემორიალის მხოლოდ თითო რეკორდი. ტურნირში ბელგიის, ბულგარეთის, დანიის, გდრ-ის, გფრ-ის, ინგლისის, უნგრეთის, იტალიის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვეციის, იუგოსლავიის, იაპონიისა და სსრ კავშირის საუკეთესო ათლეტები მონაწილეობდნენ და თავგამოდებითაც იბრძოდნენ, მაგრამ სწორედ შეჯიბრებისას წამოვიდა წვიმა და ბილიკები და სექტორები სასპარეზოდ თითქმის უვარგისი გახდა. ამას დაემატა ისიც, რომ ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებმა ზოგიერთი შეცდომა დაუშვეს სპორტსმენთა შერჩევაში. სწორედ ამის გამო იყო, რომ მასპინძლებმა ვერც ერთი მთავარი პრიზი ვერ დაისაკუთრეს.

ამ ასპარეზობის მეორე მიზანს წარმოადგენდა სსრ კავშირის ნაკრების წევრთა შერჩევა აშშ-ის სპორტსმენებ-

## ი. დიაჩკოვი — საუკეთესო

თან მატჩისთვის. საგზურის მიღებისთვის ენერგიულად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ათლეტი, მათ შორის, საქართველოს მძლეოსნებიც. მემორიალის კიდევ ერთი თავისებურება იყო ისიც, რომ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები ნაადრევად გათამაშდა 50 კმ სპორტულ სიარულსა და მარათონულ რბენაში.

სპორტულ სიარულში გამოცდა კარგად ჩააბარა თბილისელმა ა. შჩერბინამ. იგი ფინიშთან IV იყო (4:19.32,0), მაგრამ, მაინც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ვინაიდან კ. ჰიონე (გდრ), რომელმაც III ადგილი დაიკავა (4:17.55,0), მედლისთვის არ იბრძოდა.

ათჭიდელთა ტურნირში საბჭოთა კავშირის 20 საუკეთესო ათლეტი და ერთი სტუმარი — ვ. ტიდკე (გდრ) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამ უკანასკნელის პირადი რეკორდი 7.500 ქულას შეადგენს. მემორიალში სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონის ი. დიაჩკოვის მონაწილეობამ ბრძოლა უფრო საინტერესო გახადა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ერთგვარი შიშით გამოვიდა სტარტზე, — როგორც ჩანს, ვარჯიშისას დაშავებული ფეხი აფიქრებდა. ამიტომ იყო, რომ იგი გაუბედავად ასპარეზობდა 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. მაგრამ პირველმა წარმატებამ სპორტსმენს რწმენა შემატა. ბირთვის კვრაში მან აჩვენა თავისი საუკეთესო შედეგი ათჭიდში — 14,76 სმ, სიმაღლეზე 185 სმ გადალახა, ხოლო 400 მეტრი 50,4 წამში გაირბინა, ტურნირის პირველსავე დღეს 3.825 ქულა მოაგროვა და III ადგილზე დამკვიდრდა ლიდერობა ხელთ იგდო ახალგაზრდა სპორტსმენმა ვ. შჩერბატიხმა — 3.967, ხოლო ი. ოტსმაა დიაჩკოვს 18 ქულით უსწრებდა.

მეორე დღეს დიაჩკოვის უპირატესობა საგრძნობი გახდა. 110 მეტრზე თარჯრბენის შემდეგ იგი დაწინაურდა, ხოლო ბადროს ტყორცნაში შეჯიბრებაც რომ დამთავრდა, უკვე ერთპიროვნული ლიდერი იყო.

კოკისპირულმა წვიმამ შეჯიბრება დროებით შეწყვიტა. ეს მოხდა მაშინ, როცა დიაჩკოვმა და შჩერბატიხმა ჭოკით უკვე გადალახეს 440 სმ. შეჯიბრების განახლების მერე კი ხტომა შეუძლებელი იყო.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ოდესა.

### მემორიალის ტექნიკური შედეგები

**ქალები. რბენა: 100 მ** — ტ. ტალიშევა — 11,5, ვ. პოპკოვა — 11,5, ლ. სამოტიოსოვა — 11,6, ვ. ბოლშოვა — 11,6, ნ. რუნოვა (ყველანი — სსრ კავშირი) — 11,6, **200 მ** — ვ. პოპკოვა — 23,8, ლ. სამოტიოსოვა — 24,0, ლ ზაგერე (სსრ კავშირი) — 24,0; **400 მ** — ლ. სმელოვა (სსრ კავშირი) — 55,2, ლ. მაცოუნოვა (ჩეხოსლოვაკია) — 55,3, გ. მაროჩკინა (სსრ კავშირი) — 55,7, **800 მ** — თ. ბაბინცევა — 2.07,3, ვ. მუხანოვა — 2.07,3, რ. დისტინოვა (ყველანი — სსრ კავშირი) — 2.07,8; **80 მ თარჯრბენი** — ნ. კულკოვა (სსრ კავშირი) — 11,0, კ. ბალცერი (გდრ) — 11,0, რ. კოშელევა-ლარიონოვა (სსრ კავშირი) — 11,1; **სიგრძეზე ხტომა** — ტ. შჩელკანოვა — 657, ტ. ტალიშევა (ორივენი — სსრ კავშირი) — 650, ხ. ჰოფმანი (გფრ) — 631; **სიმაღლეზე ხტომა** — ტ. ჩენჩიკი — 175, ლ. კომლევა — 168, ა. ოკოროკოვა (ყველანი — სსრ კავშირი) — 165; **ბადროს ტყორცნა** — თ. პრესი — 57,30, ა. ზოლოტუხინა-პოპოვა 53,56, ლ. შჩერბაკოვა (ყველანი — სსრ კავშირი) — 53,52; **შუბის ტყორცნა** — ე. ოზოლინა — 57,70, ვ. პოპოვა — 57,09, ე. გორჩაკოვა (ყველანი — სსრ კავშირი) — 55,21; **ბირთვის კვრა** — თ. პრესი — 17,68, მ. გუმელ-ჰელმბოლტი (გდრ)—16,93, გ. ზიბინა (სსრ კავშირი) — 16,74; **ხუთჭიდი** — ვ. ტიხომიროვა — 4749, ნ. მექიდოვა — 4389, ბ. დიორნოვა — 4373;

**ვაჟები. რბენა. 100 მ** — ხ. იიძიმა (იაპონია) — 10,1, ა. ლებედევი (სსრ კავშირი) — 10,2, ლ. მიხაიფი (უნგრეთი) — 10,3, **200 მ** — ა. ტუიაკოვა — 21,1, ბ. სავჩუკი — 21,2, ნ. პოლიტიკო (ყველანი — სსრ კავშირი) — 21,3; **400 მ** — ს. გრენჯინსკი (პოლონეთი) — 46,5, გ. სვერბეტოვი — 46,8, ა. ივანოვი (ორივენი — სსრ კავშირი) — 47,1; **800 მ** — რ. ტელპი (სსრ კავშირი) — 1.49,7, ტ. იუნგვირტი (ჩეხოსლოვაკია) — 1.49,9, ვ. ფროლოვი (სსრ კავშირი) — 1.50,6; **1.500 მ** — ბ. ტიუმლერი (გფრ) — 3.44,8, ჯ. უილკინსონი (ინგლისი) — 3.45,2, ი. იაკუბოვსი (სსრ კავშირი) — 3.46,3; **5.000 მ** — კ. სავაკი (იაპონია) — 13.47,2, გ. ხლისტოვი — 13.47,4, კ. ორენტ:სი (ორივენი — სსრ კავშირი) — 13.47,6, **10.000 მ** — გ. რულანტსა (ბელგია) — 29.16,6, ს. ბაიდიუკი — 29.19,0, ვ. ალანოვი (ორივენი — სსრ კავშირი) — 29.26,4; **110 მ თარჯრბენი** — ა. მიხაილოვი (სსრ კავშირი) — 13,8, დ. ჰემერი (ინგლისი) — 13,9, ვ. ბალიხინი (სსრ კავშირი) — 13,9, **400 მ თარჯრბენი** — ვ. ანისიმოვი — 51,2, ე. ზაგერისი — 51,6, ვ. სკომოროხოვი (ყველანი — სსრ კავშირი) — 51,6; **3.000 მ წინაღობებით რბენა** — ა. მოროზოვი — 8.42,6, ა. ალექსეიუნასი — 8.46,6, ვ. კომაროვი (ყველანი — სსრ კავშირი) — 8.50,2; **20 კმ სპორტული სიარული** — ბ. ხროლოვიჩი — 1:30.31,4, ვ. გოლუბნიჩი — 1:30.32,0, გ. სოლოდოვი (ყველანი — სსრ კავშირი) — 1:30.36,0, **50 კმ სპორტული სიარული** — გ. აგაპოვი — 4:15.17,0, გ. კლიმოვი (ორივენი — სსრ კავშირი) — 4:15.58,0, კ. ჰიონე (გდრ) — 4:17.55,0, ა. შჩერბინა (სსრ კავშირი) — 4:19.32,0; **მარათონული რბენა** — ა. სუხარკოვი — 2:21.17,4, რ. სალოვი — 2:23.05,0, ვ. ბაიკოვი (ყველანი — სსრ კავშირი) — 2:23.05,0; **სიმაღლეზე ხტომა** — ვ. სკვორცოვი — 211, ა. ხმარსკი (ორივენი — სსრ კავშირი) — 208, ჩ. ო. ნილსონი (შვეცია) — 205; **სიგრძეზე ხტომა** — ლ. ბორკოვსკი — 774, ა. პონომარენკო — 762, ტ. ლეპიკი (ყველანი — სსრ კავშირი) — 757; **სამხტომი**—ა. ალიაბიევი (სსრ კავშირი) — 16,24, ა. პულავსკი (პოლონეთი) — 16.07, ა. შვეცი (სსრ კავშირი) — 15,86; **ჭოკით ხტომა** — გ. ბლიზნეცოვი (სსრ კავშირი) — 514, ვ. ნორდვიგი (გდრ) — 500, ვ. სოკოლოვსკი (პოლონეთი) — 470; **ბადროს ტყორცნა** — ზ. ბეგერი (პოლონეთი) — 57,44, ვ. იარასი — 57,10, ვ. ბახტინი (ორივენი — სსრ კავშირი) 56,38; **შუბის ტყორცნა** — ი. ლუსისი (სსრ კავშირი) — 80,97, ე. ტიუსანენი (ფინეთი) — 78,63, მ. პაამა — 76,68, კ. გორძემაშვილი (ორივენი — სსრ კავშირი) — 76,60; **უროს ტყორცნა** — რ. კლიმი — 67,14, გ. კონდრაშოვი — 65,70, ა. შუპლიაკოვი (ყველანი — სსრ კავშირი) — 65,01; **ბირთვის კვრა** — ნ. კარასევი — 18,72, ე. გუშჩინი (ორივენი — სსრ კავშირი) — 18,54, ტ. შუკერი (იუგოსლავია) — 17,72, მ. ოყროშიძე (სსრ კავშირი) — 17,35; **ათჭიდი** — ი. დიაჩკოვი — 7.493 (11,3; 693; 14,76; 185; 50,4; 14,9; 43.92; 440; 55,06; 4.54,2), ვ. შჩერბატიხი — 7.408, ი. ოტსმაა (ყველანი — სსრ კავშირი) — 7.349.



სურათზე: თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდისა და ქუთაისის ნაკრების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

●

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

ქუთაისი, 6 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება კალათბურთში. მოგვყავს III კალენდარული დღის შედეგები:

**ქალები.** აფხაზეთი — აჭარა 41:55, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 46:38, ქუთაისი — რუსთავი 52:35, უნივერსიტეტი — გორი 60:34.

**ვაჟები.** აჭარა — წულუკიძე 53:52, „დინამო“ (ქუთაისი) — აფხაზეთი 71:40, უნივერსიტეტი — რუსთავი 67:42, „გვირაბმშენი“ (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 59:65.

## კალათბურთი

# ჭადრაკის მერიდიანებზე

ბათუმი, 6 ივლისი (ტელეფონით. ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მოეწყო ბოლო სამ ტურში 12 გადადებული შეხვედრის დამთავრება.

სამ პარტიას ამთავრებდა გურგენიძე უბილავასთან იგი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდა, ხოლო ფელდთან (უნგრეთი) და კოლაროვთან (ბულგარეთი), რამდენიმე საათის ბრძოლის მიუხედავად. აგრეთვე, ყაიმს დასჯერდა.

2 პარტია დაამთავრა კურაიცამ იანსასთან თამაშის განახლებისას მან კარგად ისარგებლა მეტოქის მცდარი სვლით და ყაიმს მიაღწია. ყაიმით დაამთავრა კურაიცამ ბუსლაევთან შეხვედრაც.

ბაგიროვმა (აზერბაიჯანი) და ველიმიროვიჩმა (იუგოსლავია) მოუგეს უიტელკის (ჩეხოსლოვაკია). ამ უკანასკნელმა დაამარცხა ბუსლაევი.

2 გამარჯვება მოიპოვა გდრ-ის ჩემპიონმა ცინმა: პოპოვთან (ბულგარეთი) და ველიმიროვიჩთან. მინიჩმა (იუგოსლავია) მოუგო დოდას (პოლონეთი), ხოლო ყაიმზე შეუთანხმდა უბილავას.

12 ტურის შემდეგ წინ არიან: გურგენიძე, ბაგიროვი (8,5-8,5 ქულა), კურაიცა, იანსა — 8-8, ჯინჯიხაშვილი, ცინი — 7-7, მინიჩი, ბუსლაევი — 6,5-6,5.

◆

სოჭი, 6 ივლისი. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XI ტურში კორჩნოიმ დაამარცხა ბერტოკი (იუგოსლავია), ლეინმა — ანტოშინი, პოლუგაევსკიმ — ფუქსი (გდრ), ვლადიმიროვმა — ბობოცოვი (ბულგარეთი), მატულოვიჩმა (იუგოსლავია) — ორტეგა (კუბა).

ადრე გადადებულ პარტიაში რსფსრ-ს ჩემპიონმა სერგიევსკიმ მოუგო ბრადვარევიჩს (იუგოსლავია).

11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: კორჩნოი (8,5 ქულა), პოლუგაევსკი (8), კროგიუსი (7,5).

◆

ამსტერდამი, 6 ივლისი. წარმატებით დაიწყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა ჰოლანდიის დედაქალაქში გახსნილი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც კომპანია იბმ აწყობს. I ტურში სახელგანთქმულმა მოჭადრაკემ მოუგო დიდოსტატ გ. სილადის (უნგრეთი). „უძლიერესთა ჯგუფში“ მოასპარეზე მეორე საბჭოთა დიდოსტატი ს. ფლორი ყაიმზე შეუთანხმდა ესპანელ ა. პომარს.

◆

ბუდაპეშტი, 6 ივლისი. მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი). მას ნახევარი ქულით ჩამორჩება სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კოზლოვსკაია, მაგრამ პიატიგორსკელ ოსტატს 1 გადადებული პარტია აქვს „მარაგში“.



სურათზე: სოჭის საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი ბ. სპასკი და ბ. ვლადიმიროვი.

ფოტო გ. მაზურისა (საკდეს).

ფეხბურთი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

● „ტორპედო" (გაგრა) — „სინათლე" (თბილისი) 1:3. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და 36-ე წუთზე საჯაიამ კუთხური მოწოდებიდან გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ ვითარება შეიცვალა: ინიციატივა გადავიდა „სინათლის" მხარეს, რომელიც 72-ე წუთზე უკვე დაწინაურდა — 2:1 (ორივე ბურთი გაიტანა კანდელაკმა). თბილისელთა გამარჯვება განამტკიცა ჯამბრალიძემ — 3:1.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) — 1:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

მატჩი დაიწყო იმით, რომ მასპინძლებმა უკვე მე-2 წუთზე ვერ გამოიყენეს პენალტი. წარმატებას „მესხეთმა" მხოლოდ 76-ე წუთზე მიაღწია (კაბინუსი). მაგრამ მეტალურგებმა მარცხს გაძლიერებული იერიშით უპასუხეს და სხილაძემ გაქვითა ეს გოლი.

● „ირისთონი" (ცხინვალი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

თამაში კარგახანს ზუგდიდელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და 21-ე წუთზე ჯგერენაიამ კარის აღებით დაამთავრა თავისუფალი დარტყმიდან გათამაშებული ბურთი. შემდგომში ინიციატივამ „ირისთონის" მხარეს გადაინაცვლა, რომელმაც ჯერ გაქვითა გოლი (ქობულოვი), შემდეგ კი წინაც გავიდა (მარგიევი).

● „ისანი" (თბილისი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 0:0. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).

● „ქართლი" (გორი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 4:2, მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მწვავე ბრძოლა მინდორზე თავიდანვე გაჩაღდა — ორივე გუნდი მონდომებით იბრძოდა გამარჯვებისთვის. შესვენებისთვის ანგარიში იყო 1:1. დაიწყო მეორე ტაიმი და მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — 2:2. ამის შემდეგ მასპინძლებმა გააძლიერეს იერიშები და ციხისელისა და დოთიაშვილის მიერ გატანილი ბურთების წყალობით გამარჯვებას მიაღწიეს.

● „დინამო" (ქუთაისი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 0:3. მსაჯი ვ. მედვედევი (რუსთავი).

● „გურია" (ლანჩხუთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მიუხედავად ხშირი ორმხრივი იერიშებისა, ძველ მოწინააღმდეგეთა ბრძოლა უგოლოდ დამთავრდა — 0:0. ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. 27-ე წუთზე „შუქურას" თავდამსხმელი ურუშაძე მარჯვენა ფლანგიდან გავიდა გარღვევაზე და გაიტანა პირველი ბურთი. რკინიგზელები კარგა ხანს უტევდნენ მასპინძლებს და ცდილობდნენ საპასუხო ბურთის გატანას, მაგრამ გუნდმა ვერ გამოიყენა რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა. ასევე გრძელდებოდა ბრძოლა მეორე ტაიმში, სანამ ურუშაძემ მეორედ არ აიძულა სამტრედიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. „ლოკომოტივი" მატჩის დასასრულამდე განაგრძობდა იერიშებს, მაგრამ შეძლო მხოლოდ 1 საპასუხო ბურთის გატანა (პერტენავა).

● „ნარინჯი" (ბათუმი) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

სტუდენტებმა სწრაფად დაიწყეს თამაში და მალე ცინცაძემ ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში თბილისელთა უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი შეიქნა, როცა ინჯგიამ ორჯერ აიღო ჩოხატაურელთა კარი.

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 1:0. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

წალენჯიხელებს მთელი თამაშის განმავლობაში ეპყრათ უპირატესობა, მაგრამ ისინი მხოლოდ 1 ბურთს დაეჯერდნენ, რომელიც ბერულავამ გაიტანა 65-ე წუთზე.

● თბილისის „დინამოს" I გუნდს დამარცხება ჩაეთვალა ბორჯომის „განთიადთან" შეხვედრაში.

## II ქვეჯგუფი

### I ზონა

„ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:1, „ალაზანმშენი" (თელავი) — „შირაქი" (წითელწყარო) 3:2, „დურუჯი" (ყვარელი) — „სამცხე" (აწყური) 7:0. მარნეულის „კოლმეურნეს" წაგება ჩაეთვალა წალკის „თრიალეთთან" შეხვედრაში.

### II ზონა

„აერო" (გალი) — „ცისარტყელა" (თბილისი) 4:0, „სულორი" (ვანი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 4:0, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ლაითური" (მახარაძე) 0:0, „კოლხეთი" (ხობი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 4:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „კოლხიდმშენი" (ფოთი) 3:0. წყალტუბოს „სამგურალს" გამარჯვება ჩაეთვალა ხაშურის „ზემო ქართლთან" შეხვედრაში.

მსოფლიო ჩემპიონატამდე




# ემზადებიან..

◆ **ხოჟუვი**, 6 ივლისი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ აქ გუშინ საღამოს ბოლო მატჩი გამართეს ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა. მათ წინააღმდეგ თამაშობდა პოლონეთის ეროვნული ნაკრები. მე-14 წუთზე სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰანტმა კარგად გამოიყენა ბ. ჩარლტონის მიწოდებული ბურთი და გაიტანა გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში.

შეხვედრას, რომელსაც 110 ათასი მაყურებელი დაესწრო, სჯიდა უნგრელი ჟოლტი.

ინგლისის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბენქსი, კოენი, ვილსონი, სტაილსი, ჯ. ჩარლტონი, მური, ბოლი, გრივსი, ბ. ჩარლტონი, ჰანტი და პიტერსი.




●

აი, ესენი ითამაშებენ ინგლისში

●



ს უ რ ა თ ზ ე: უნგრეთის ნაკრებისა და „ფერენცვაროშის" ცენტრალური თავდამსხმელი ფ. ალბერტი (ნახტომში) თავისი ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში.

# ფეხბურთი ჩვენს ბინებში

ორშაბათს, 11 ივლისს, ინგლისის სტადიონებზე და... ჩვენს ბინებში სტარტს აიღებს ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატი. მილიონობით გულშემატკივარს საშუალება ექნება ტელევიზიის ცისფერ ეკრანებზე და რადიოთი თვალყური ადევნოს სსრ კავშირის ნაკრებისა და სხვა უძლიერესი გუნდების მატჩებს.

მოგვყავს რეპორტაჟების განრიგი (დრო ყველგან თბილისისაა).

**11 ივლისი.** საზეიმო გახსნა და ინგლის—ურუგვაის მატჩი. დასაწყისი 22 საათზე (ტელევიზიით მთელი თამაშის გადაცემა, რადიოთი — მხოლოდ მეორე ტაიმისა — 23 ს. 30 წ.).

**12 ივლისი.** სსრ კავშირი — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. დასაწყისი 22 ს. 30 წ. (რადიოთი); განზრახულია ტელეგადაცემაც. ბულგარეთი — ბრაზილია. 22 ს. 20 წ. (ტელეგადაცემა).

**13 ივლისი.** ჩილი — იტალია. 22 ს. 20 წ. (ტელევიზიით მთელი თამაში, რადიოთი — მეორე ტაიმი); უნგრეთი — პორტუგალია 22 ს. 20 წ. (ტელეგადაცემა).

**15 ივლისი.** ბრაზილია — უნგრეთი. 22 ს. 20 წ. (ტელევიზიით მთელი თამაში, რადიოთი — მეორე ტაიმი).

**16 ივლისი.** სსრ კავშირი — იტალია. 18 ს. (რადიო და ტელეგადაცემა); პორტუგალია — ბულგარეთი. 17 ს. 50 წ. (ტელეგადაცემა).

**19 ივლისი.** პორტუგალია — ბრაზილია. 22 ს. 20 წ. (ტელევიზიით მთელი თამაში, რადიოთი — მეორე ტაიმი).

**20 ივლისი.** სსრ კავშირი — ჩილი. 22 ს. 30 წ. (რადიოთი); განზრახულია ტელეგადაცემაც. უნგრეთი — ბულგარეთი. 22 ს. 20 წ. (ტელეგადაცემა).

**23 ივლისი.** მეოთხედფინალური მატჩი. 18 ს. (რადიო და ტელეგადაცემა).

**25 ივლისი.** პირველი ნახევარფინალური მატჩი. 22 ს. 30 წ. (რადიო და ტელეგადაცემა).

**26 ივლისი.** მეორე ნახევარფინალური მატჩი. 22 ს. 30 წ. (რადიო და ტელეგადაცემა).

**28 ივლისი.** მატჩი III ადგილისათვის. 22 ს. 30 წ. (რადიო და ტელეგადაცემა).

**30 ივლისი.** ფინალური მატჩი და ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. 18 ს. (რადიო და ტელეგადაცემა).

მატჩებს კომენტარს გაუკეთებენ ნ. ოზეროვი და ი. სპარე.

# რ. კლარკმა დაიბრუნა რეკორდი

**სტოკჰოლმი**, 6 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში ცნობილმა ავსტრალიელმა სტაიერმა რ. კლარკმა გუშინ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდსმენის სახელი 5 კილომეტრზე რბენაში — 13.16,6.

ადრე ეს ტიტული კლარკს ჩამოართვა კენიელმა კ. კეინომ — 13.24,2.

ავსტრალიელმა გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი 3 მილზე რბენაშიც 12,50,4 (წინანდელი — 12.52,4).

ამ შესანიშნავი რეკორდის დამყარებას 10 ათასი მაყურებელი „უწყობდა ხელს". ბოლო წუთზე, როცა კლარკმა ტემპს საოცრად უმატა, ერთ-ერთმა მათგანმა წამოიძახა: „ეს ადამიანი კი არა, ექსპრესია".

კლარკმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მაყურებლებს. თქვენს დაუხმარებლად ასე სწრაფად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვირბენდიო.

II ადგილი დაიკავა პოლონელმა სტაიერმა ლ. ბოგუშევიჩმა — 13.51,8.

თავი გამოიჩინა ბელგიელმა გ. რულანტსმაც. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მან აჩვენა მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი — 8.27,2.

აი, შესანიშნავი შედეგის კიდევ ერთი ავტორი: ლ. დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) ბადრო 62,04 მეტრზე ტყორცნა.

# ალბათ, არ ჩაითვლება...

**სალინა** (აშშ, კანზასის შტატი), **5 ივლისი.** ამ პატარა ქალაქის სახელი იქნებ არც მოხვდეს მძლეოსანთა მსოფლიო რეკორდების ცხრილში, თუმცა ამერიკელმა ათჭიდელებმა ბ. ტუმეიმ და რ. ხოჯმა სწორედ აქ დაამხეს იან ჩუან-კუანის მიერ 1963 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

ტუმეიმ მოაგროვა 8234 ქულა, რაც 147 ქულით აღემატება ძველ მიღწევას (II ადგილზე გასული ხოჯის შედეგია 8130 ქულა).

ახალი რეკორდის აღიარებას ხელს უშლის შემდეგი გარემოება: სიგრძეზე ხტომისას სპორტსმენებს „ეხმარებოდა" საკმაოდ ძლიერი ქარი (3,5 მ წამში).

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა უ. ჰეილეტმა განაცხადა: „ჩვენ ეს ამბავი ვაცნობეთ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას და წესების თანახმად რეკორდი, ალბათ, არ ჩაითვლება".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხოჯმა, რომელიც 100 კილოგრამს იწონის, 100 მეტრი 10,3 წამში გაირბინა.

# „უდღეური"...

**ფრედერიკი** (აშშ), 4 ივლისი. როცა ამერიკელ მძლეოსან ქალთა ჩემპიონატის მონაწილე კალიფორნიელი სტუდენტი, 19 წლის ბ. სიგრენი ჭოკით 533 სმ-ზე გადახტა, მან მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა უამრავი ამბორი მიიღო — მხურვალედ ულოცავდნენ მსოფლიოს ახალ რეკორდს. მაგრამ სიგრენს მხოლოდ კოცნა შერჩა: უზუსტესი გაზომვის შედეგად გამოირკვა, რომ თამასა 532 სმ-ზე ყოფილა გადებული და ათლეტს მხოლოდ თავისივე მსოფლიო რეკორდი გაუმეორებია (ქალთა ჩემპიონატში სიგრენი ცხადია, უკონკურსოდ ასპარეზობდა).

მძლეოსანმა ქალებმა 3 ეროვნული რეკორდი დაამყარეს: ჩ. კუკმა 880 იარდზე რბენაში — 2.05,0, ჩ. შერარდმა 80 მეტრზე თარჯრბენში — 10,7 და დ. დრაუნმა 1500 მეტრზე რბენაში — 4.20,2.

ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა ვ. ტაიესმა მოიგო ორივე სპრინტერული დისტანცია (100 იარდი — 10,5 და 220 იარდი — 23,8).

ვ. უაიტმა ყველა ჩამოიტოვა სიგრძეზე (628 სმ), ხოლო ე. მონტგომერიმ სიმაღლეზე ხტომაში — 170 სმ. კუკმა მეორე გამარჯვება იზეიმა 440 იარდზე რბენაში — 53,3.

ჩემპიონატმა გამოავლინა აშშ-ის ქალთა ნაკრები, რომელიც ახლო მომავალში შეხვდება საბჭოთა და პოლონელ მძლეოსანთა გუნდებს.

ამერიკელები კვლავ მოიკოჭლებენ ტყორცნებში, მაგრამ საგრძნობლად მომძლავრდნენ ყველა რბენით ნომერში (და არა მარტო სპრინტში, როგორც ეს ადრე იყო).

მძლეოსნობა

▲ **რ ო მ ი.** აქ გაიმართა მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც რამდენიმე კარგი შედეგით აღინიშნა: 100 მ თავისუფალი სტილით — ბოჩაინი (იტალია) — 56,0, 100 მ ბატერფლაით — მელამედი (ისრაელი) — 1.00,9, 100 მ ზურგზე — შიკანი (უნგრეთი) — 1.02,1.

▲ **ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი.** გაიმართა ჰოლანდიისა და გფრ-ის ნიჩბოსანთა საერთაშორისო მატჩი. ვაჟებში გაიმარჯვეს გერმანელებმა (49:41), ხოლო ქალები „ყაიმზე შეთანხმდნენ" — 17,5:17,5.

▲ **ბრაუნსვალდი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში გახდა ი. ბინდერი — 47,466 ქულა.

▲ **ამსტერდამი.** ჰოლანდიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორის კანდიდატად ამსტერდამი წამოაყენოს.



რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# გათამაშების პირველ დღეს

იწყება რესპუბლიკურ გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების ზონალური ტურნირი.

მოგვყავს პირველი დღის — 10 ივლისის შეხვედრათა კალენდარი: ახალქალაქი — სოფ. გორელოვკა (ბოგდანოვკის რაიონი), წალკა — ბოგდანოვკა, ასპინძა — ადიგენი, თიანეთი — წითელწყარო, ლაგოდეხი — ახმეტა, ყვარელი — სიღნაღი, კასპი — დმანისი, ქარელი (აგარის შაქრის კომბინატი) — თეთრი წყარო, აბაშა — წალენჯიხა. ჩხოროწყუ — სამტრედია, თერჯოლა — ამბროლაური. ონის გუნდი თავისუფალია.

თბილისის სპორტული ბაზიბაზი

**ფეხბურთი.** ასკ-ს სტადიონი (შაუმიანის ქ. № 55). 8 ივლისი. ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების თასის ფინალური მატჩი: „თოლია" — მაუდ-კამვოლის კომბინატი. დასაწყისი 13 ს.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06000